BULWARK

LCD/LED MONITOR ARM

ARDOR GAMING

შინაარსი

უსაფრთხოების ზომები 4
ტექნიკური მახასიათებლები 4
კომპლექტაცია 4
მონტაჟის სქემა 5
მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალი-
ზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები 12
დამატებითი ინფორმაცია 12

საკიდი LCD-/LED-მონიტორებისთვის ARDOR GAMING Bulwark
ექსპლუატაციის სახელმძღვანელო

ძვირფასო მომხმარებელო!

მადლობა თქვენი ნდობისთვის!

ჩვენი გუნდი მთლიანად იზიარებს თქვენს გატაცებას კომპიუტერული თამაშებით, სწორედ ამიტომ ჩვენ ვდებთ ყველა ძალისხმევას, რათა თქვენი სათამაშო გამოცდილება დაუვიწყარი გახდეს ჩვენი გეიმერული აქსესუარებით. ახალ გამარჯვებებსა და ყველაზე ნათელ შთაბეჭდილებებს გისურვებთ!

უსაფრთხოების ზომები

- მოცემული ნაწარმი განკუთვნილია მხოლოდ შენობა-ნაგებობებში ექსპლუატაციისთვის.
- დარწმუნდით, რომ საყრდენი ზედაპირი გაუძლებს დამონტაჟებული მთელი აღჭურვილობისა და კომპლექტაციის წონას.
- ნაწარმის მონტაჟი უნდა განხორციელდეს მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.
- მონტაჟამდე დარწმუნდით, რომ მიღებული გაქვთ ყველა დეტალი კომპლექტაციის სიის შესაბამისად. თუ რომელიმე დეტალი აკლია ან დაზიანებულია, დაუკავშირდით გამყიდველს.
- მოცემული მოწყობილობის კომპლექტში შედის წვრილი დეტალები, რომლებიც სასუნთქი გზების დახშობის საშიშროებას წარმოადგენს ჩაყლაპვის შემთხვევაში. ასეთი დეტალები უნდა ინახებოდეს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.
- მიჰყევით წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ვიზუალურ ინსტრუქციას. გამოიყენეთ მხოლოდ ნაწარმთან ერთად მოწოდებული სამონტაჟო კომპონენტები. ზედმეტად არ მოჭერთ ხრახნები. შეამოწმეთ დამაგრების ხარისხი მონტაჟის შემდეგ.
- აუცილებელია რეგულარულად შეამოწმოთ (სულ მცირე სამ თვეში ერთხელ), რომ საკიდი დაფიქსირებულია და მისი გამოყენება უსაფრთხოა.
- ნაწარმი და მისი კომპლექტაცია არ არის განკუთვნილი ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათზე კონტროლს ახორციელებენ სხვა პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათ უსაფრთხოებაზე.
- არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის საშუალება.


ტექნიკური მახასიათებლები

- მოდელი: LDT61-C012L
- სავაჭრო ნიშანი: ARDOR GAMING
- მაქსიმალური დატვირთვა: 20 კგ
- დამაგრების მაქსიმალური ზომა (VESA სტანდარტი): 75 × 75; 100 × 100 მმ
- ეკრანის მინიმალური დიაგონალი: 17″
- ეკრანის მაქსიმალური დიაგონალი: 49″
- მანძილი მაგიდიდან: 500 მმ
- ბრუნვის კუთხე: 180°
- ზემოთ დახრის კუთხე: 50°
- ქვემოთ დახრის კუთხე: -20°
- გამოყენების სფერო: საყოფაცხოვრებო

კომპლექტაცია

- საკიდი
- სამაგრების ნაკრები
- ექსპლუატაციის სახელმძღვანელო


მონტაჟის სქემა




დაგროვილი ენერგიის საფრთხე!


1. მჭიდროდ შეკუმშეთ საკიდის ორივე ნაწილი, სურათზე ნაჩვენები წესით. სთხოვეთ სხვა ადამიანს გადაჭრას სამაგრი ღვედი, სანამ თქვენ იჭერთ საკიდს.


2. შემდეგ ნელა შეასუსტეთ ზეწოლა საკიდზე და დაელოდეთ, სანამ ის სრულად გაიწელება.





დამჭერის მონტაჟი





B
F
K
L



≈ 6 მმ
L



მაგიდის სავარაუდო სისქე
50 ~ 85 მმ
10 ~ 58 მმ



L
მოჭერეთ ბოლტები მონაცვლეობით, რათა დამჭერი მჭიდროდ მიეკვრას მაგიდას
M

2b შუასადების მონტაჟი














3












იმისთვის, რომ სწორად დაბალანსოთ საკიდის მკლავი დამონტაჟებული მონიტორით, დაარეგულირეთ ზამბარის დაჭიმულობა თანდართული სამკუთხა გასაღების საშუალებით, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ.




მოათავსეთ და მჭიდროდ დაიჭირეთ საკიდის მკლავი ჰორიზონტალურად, სურათზე ნაჩვენები წესით. საჭიროების შემთხვევაში სთხოვეთ ვინმეს დახმარება.

საკიდის ან მონიტორის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ზამბარის რეგულირების მთელი პროცესის განმავლობაში დაიჭირეთ საკიდის მკლავი ჰორიზონტალურად. საჭიროების შემთხვევაში სთხოვეთ ვინმეს დახმარება.




თუ საკიდის მკლავი ეშვება, დაატრიალეთ მარეგულირებელი ხრახნი საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, სანამ მკლავი არ დაფიქსირდება ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.




თუ საკიდის მკლავი იწევა ზემოთ, დაატრიალეთ მარეგულირებელი ხრახნი საათის ისრის მიმართულებით, სანამ მკლავი არ დაფიქსირდება.


არ გადმოჭიმოთ ხრახნი.

7







არ წამონიოთ დამონტაჟებული მონიტორები მაგიდის უკანა კიდის მიღმა, რათა თავიდან იქნას აცილებული წონასწორობის დარღვევა და მოწყობილობის დაცემა.




შენიშვნა: თუ მონიტორი არ ფიქსირდება სასურველ პოზიციაში, მოაჭერით ხრახნები ამ სურათის შესაბამისად.









განათების მართვის ღილაკი:

ჩართვა/გამორთვა: დააჭირეთ და დაიჭირეთ ღილაკი 2 წამის განმავლობაში.


განათების რეჟიმის შეცვლა: დააჭირეთ ღილაკს, სანამ არ აირჩევთ სასურველ განათებას (სულ 20 რეჟიმი).

შემთხვევითი რეჟიმი: დააჭირეთ ღილაკს ორჯერ (განათება ერთხელ აციმციმდება), და ფერი შეირჩევა შემთხვევითობის პრინციპით; რეჟიმიდან გამოსასვლელად დააჭირეთ ღილაკს ისევ ორჯერ.

პარამეტრების შენახვა: სისტემა ავტომატურად შეინახავს განათების ბოლო პარამეტრებს.

გარე მოწყობილობიდან ARGB-განათების მიერთება: მიუერთდით განათების კონტროლერს 5V 3-pin ARGB ინტერფეისით. (გამოიყენეთ კომპლექტში შემავალი **N** კაბელი.)

LUMI RGB კონტროლერიდან ARGB-განათების მიერთება: მიაერთეთ კონტროლერი USB-პორტის საშუალებით. (LUMI RGB კონტროლერი არ შედის კომპლექტში.)



მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

- ნაწარმის მონტაჟის წესები და პირობები აღწერილია წინამდებარე სახელმძღვანელოს განყოფილებაში «მონტაჟის სქემა».
- ნაწარმის შენახვა უნდა განხორციელდეს შეფუთვაში, გათბობად შენობებში მწარმოებელთან და მომხმარებელთან, ჰაერის ტემპერატურის 10 °C-დან 25 °C-მდე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის არაუმეტეს 80%-ის პირობებში. შენობებში არ უნდა იყოს კოროზიის გამომწვევი აგრესიული მინარევები (მჟავების, ტუტეების ორთქლი).
- ნაწარმის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს მშრალ გარემოში.
- ნაწარმი მოითხოვს ფრთხილ მოპყრობას, დაიცავით იგი მტვრის, ჭუჭყის, დარტყმების, ტენის, ცეცხლის და სხვათა ზემოქმედებისგან.
- ნაწარმის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ნაწარმის გაუმართაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს ან გაანადგურეთ ნაწარმი.
- მოცემული ნაწარმის უტილიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი ნორმებისა და ნარჩენების გადამუშავების წესების შესაბამისად. ამ პროდუქტის სწორი უტილიზაციის უზრუნველყოფით თქვენ უწყობთ ხელს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის პოტენციური ზიანის თავიდან აცილებას, რომელიც შესაძლებელია ნარჩენების უკონტროლო გაფრქვევის შედეგად, და მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ამ პროდუქტის მიღებისა და უტილიზაციის პუნქტების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე პასუხისმგებელ საწარმოში.

დამატებითი ინფორმაცია

მწარმოებელი: ცისი პუჯუი მეტალ პროდაქტს კო., ლტდ.
სამრეწველო განვითარების ზონა, სოფ. თიანიანი, ლუნშანი, ქ. ცისი, ჯეძიანის პროვინცია, ჩინეთი.

დამზადებულია ჩინეთში.

იმპორტიორი საქართველოში:
შპს არგო ელექტრონიქს.
საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული.
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@dns-shop.ge

სპეციფიკაციები, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და მისი გარეგანი სახე შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ჩვენი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

საქონელი დამზადებულია (თთ.წწწწ): _____ v.1

საგარანტიო ტალონი

SN/IMEI:

გარანტიაზე აყვანის თარიღი:

მწარმოებელი უზრუნველყოფს მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, ასევე მასალებსა და აწყობაში დეფექტების არარსებობას. საგარანტიო პერიოდი აითვლება ნაწარმის შეძენის მომენტიდან და ვრცელდება მხოლოდ ახალ პროდუქტებზე. საგარანტიო მომსახურება მოიცავს არასწორი მოხმარებით გამოუწვეველი გაუმართავი ელემენტების უფასო შეკეთებას ან ჩანაცვლებას საგარანტიო ვადის განმავლობაში, ნაწარმის მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად ექსპლუატაციის პირობით. შეკეთება ან ელემენტების ჩანაცვლება ხორციელდება უფლებამოსილი სერვის ცენტრების ტერიტორიაზე.

საგარანტიო ვადა: 84 თვე.

ექსპლუატაციის ვადა: 84 თვე.

საგარანტიო ვალდებულებები და უფასო სერვისული მომსახურება არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილ აქსესუარებზე, რომლებიც შედის ნაწარმის კომპლექტში, თუ მათი ჩანაცვლება არ არის დაკავშირებული ნაწარმის დაშლასთან:

- კვების ელემენტები (ბატარეები) დისტანციური მართვის პულტისთვის.
- შემაერთებელი კაბელები, ანტენები და გადამყვანები მათთვის, ყურსასმენები, მიკროფონები, «HANDS-FREE» მოწყობილობები; სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მატარებლები, პროგრამული უზრუნველყოფა (პუ) და დრაივერები, რომლებიც მოწოდებულია კომპლექტში (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ნაწარმის მყარ დისკზე წინასწარ დაყენებული პუ), გარე შეყვანა-გამოყვანის მოწყობილობები და მანიპულატორები.
- ქეისები, ჩანთები, ღვედები, გადასატანი ბაგირები, სამონტაჟო აქსესუარები, ინსტრუმენტები, ნაწარმთან თანდართული დოკუმენტაცია.
- სახარჯო მასალები და დეტალები, რომლებიც ექვემდებარება ბუნებრივ ცვეთას.

მწარმოებელი არ იღებს საგარანტიო ვალდებულებებს შემდეგ შემთხვევებში:

- ამოწურულია საგარანტიო ვადა.
- თუ ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია პირადი (საყოფაცხოვრებო, ოჯახური) საჭიროებისთვის, გამოყენებულ იქნა სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, ასევე სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ შეესაბამება მის პირდაპირ დანიშნულებას.
- მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი შესაძლო მატერიალურ, მორალურ ან სხვა ზიანზე, რომელიც მიადგა ნაწარმის მფლობელს და/ან მესამე პირებს, მომხმარებლის სახელმძღვანელოს მოთხოვნების დარღვევის შედეგად გამოყენებისას, მონტაჟისა და მომსახურების რეკომენდაციების დაუცველობისას, მიერთების წესების დარღვევისას (მოკლე ჩართვები, მათ შორის შეუსაბამო ქსელური ძაბვის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი, როგორც თავად ნაწარმზე, ასევე მასთან დაკავშირებულ ნაწარმზე), შენახვისა და გადაზიდვის დროს.
- მექანიკური დაზიანების ყველა შემთხვევა: ნაკაწრები, ბზარები, დეფორმაციები, დარტყმების კვალი, ჩაზნექილობები, დაზიანებები და სხვა, მიღებული ნაწარმის ექსპლუატაციის პროცესში.
- არსებობს გარეშე მოდიფიკაციის, არაუფლებამოსილი პირების მიერ ასეთი სამუშაოების ჩატარებისთვის არასანქცირებული შეკეთების კვალი. თუ დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის კონსტრუქციის ან სქემის ცვლილებით, იმ გარე მოწყობილობების მიერთებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მწარმოებლის მიერ, ისეთი მოწყობილობის გამოყენებით, რომელსაც არ გააჩნია ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სერტიფიკატი.
- თუ ნაწარმის დეფექტი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით (სტიქიური მოვლენები, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, საყოფაცხოვრებო ფაქტორები და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული მწარმოებელზე), ან მესამე პირთა ქმედებებით, რომელთა განჭვრეტა მწარმოებელს არ შეეძლო.
- დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის შიგნით უცხო საგნების, უცხო სხეულების, ნივთიერებების, სითხეების, მწერების ან ცხოველების მოხვედრით, აგრესიული გარემოს, მაღალი ტენიანობის, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით, რამაც გამოიწვია ნაწარმის სრული ან ნაწილობრივი გაუმართაობა.
- არ არსებობს ან არ შეესაბამება ნაწარმის იდენტიფიკაცია (სერიული ნომერი). თუ დაზიანებები (ნაკლოვანებები) გამოწვეულია მავნე პროგრამული უზრუნველყოფის ზემოქმედებით; პაროლების (კოდების) დაყენებით, შეცვლით ან წაშლით, რამაც გამოიწვია პროგრამულ რესურსებზე წვდომის არარსებობა, მათი გადატვირთვის/აღდგენის შესაძლებლობის გარეშე, პუ-ს მომწოდებლის მიერ ამ სერვისის მიწოდების არარსებობის გამო.
- თუ მუშაობის დეფექტები გამოწვეულია კვების, საკაბელო, სატელეკომუნიკაციო ქსელების, რადიოსიგნალის სიმძლავრის სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შეუსაბამობით, მათ შორის რელიეფის თავისებურებებისა და სხვა მსგავსი გარე ფაქტორების გამო, ნაწარმის გამოყენებისას ქსელის საზღვარზე ან მოქმედების ზონის გარეთ.
- თუ დაზიანებები გამოწვეულია არასტანდარტული (არაორიგინალური) და/ან დაბალხარისხოვანი (დაზიანებული) სახარჯო მასალების, აქსესუარების, სათადარიგო ნაწილების, კვების ელემენტების, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მატარებლების გამოყენებით (მათ შორის CD, DVD დისკები, მეხსიერების ბარათები, SIM-ბარათები, კარტრიჯები).
- თუ ნაკლოვანებები გამოწვეულია შეუთავსებელი კონტენტის (მელოდიები, გრაფიკა, ვიდეო და სხვა ფაილები, Java აპლიკაციები და მსგავსი პროგრამები) მიღებით, დაყენებით და გამოყენებით.
- სხვა მოწყობილობისთვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც მუშაობს ამ ნაწარმთან ურთიერთკავშირში.

გაიგე მეტი:

ARDOR-GAMING.COM
VK.COM/ARDOR_GAMING